ევროპული სკოლა · თბილისი

გზამკვლევი

ქართული პროგრამა — მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების საინფორმაციო გზამკვლევი

2026–2027 სასწავლო წელი

ნავიგაცია

სარჩევი

ჩვენ ვინ ვართ

1. ჩვენი მისია
2. ჩვენი ღირებულებები
3. ჩვენ ვიღწვით, რათა:

აკადემიური პროგრამა

4. ქართული პროგრამა
5. შეფასების სისტემა

სასკოლო ცხოვრება და წესრიგი

6. ადამიანური რესურსების რეკრუტინგი და პროფესიული განვითარება
7. სასკოლო დისციპლინა, წესები და მოსწავლის პასუხისმგებლობა
8. **2026–2027** სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი

მოსწავლეთა მხარდაჭერა

9. მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი
10. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური
11. სადამრიგებლო პროგრამა („დამრიგებლის საათი“)
12. ასისტენტის ინსტიტუტი

აკადემიური და შემოქმედებითი ცხოვრება

13. ბიბლიოთეკა
14. კონფერენციები და ოლიმპიადები
15. მოსწავლეთა წახალისება – გრანტები, მედლები
16. კურსდამთავრებულები და საუნივერსიტეტო განათლების მრჩეველი

თემი და მმართველობა

17. მოსწავლეთა თვითმმართველი საბჭო და პარლამენტი
18. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია **(PTA)**
19. მშობელ–მასწავლებლის კონფერენციის მოდელი
20. კლასგარეშე აქტივობები, ასამბლეები
21. სკოლის დაცვა და უსაფრთხოება
22. ადმინისტრაციულ–მმართველობითი პერსონალი
23. საკონტაქტო ინფორმაცია

ჩვენ ვინ ვართ

ჩვენი მისია, ხედვა

მისია

„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ხედვა

ჩვენი მისწრაფებაა, ვიყოთ ტრანსფორმაციული განათლების ნიმუში და შევიტანოთ წვლილი მომავლის განათლების ფორმირებაში. ჩვენი ხედვის ქვაკუთხედია ხედვა იმისა, რომ განათლება არის ცვლილებების მამოძრავებელი ძალა. ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომით, შთავაგონებთ ჩვენს მოსწავლეებს, იმოქმედონ ინკლუზიური და მდგრადი სამყაროს შექმნის სულისკვეთებით

ჩვენ ვინ ვართ

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია „ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ოთხი ფუნდამენტური ღირებულება:

1 ◆ ინოვაციის გზით სვლა

2 ★ სწრაფვა სრულყოფილებისკენ

3 ▲ განვითარება სწავლის საშუალებით

4 ● გლობალური მოქალაქეობა

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. „ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით, რაც მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვინ ვართ

ჩვენ ვიღწვით, რათა:

- შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას.

აკადემიური პროგრამა

ქართული პროგრამა

„ევროპული სკოლის“ ქართული პროგრამის სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. ჩვენს მოსწავლეებს ვთავაზობთ თანამედროვე სწავლების ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც შემუშავებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებისა და სპეციალისტების მიერ ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების შერწყმისა და სტანდარტიზაციის გზით, რაც მიმართულია სწავლების ხარისხის ამაღლებისა და სრულყოფისკენ.

4.1. დაწყებითი საფეხური (I–VI კლასები)

დაწყებით საფეხურზე ყურადღებას ვამახვილებთ საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობაზე, შემოქმედებითსა და კრიტიკულ აზროვნებაზე. ვიყენებთ

სასწავლო გარემოს, რათა წავახალისოთ მოზარდის თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობა. ნებისმიერ საკლასო ოთახში ნათლად იკვეთება ერთობის შეგრძნება. მასწავლებლები ახალისებენ შესწავლის პროცესს, უყალიბებენ ცოდნისმოყვარეობას და ამზადებენ მოსწავლეს საბაზო საფეხურისთვის.

ეროვნულ სასწავლო გეგმას ვამდიდრებთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გაკვეთილებით და უცხოური ენების ადრეული ასაკიდან შესწავლით. ენის პოლიტიკის მიხედვით, მოსწავლეები მე-2 კლასიდან ირჩევენ მეორე უცხო ენას შეთავაზებული ჩამონათვალიდან – ფრანგული, გერმანული, ესპანური, რუსული.

მოსწავლეები ითვისებენ ICT-ის პრინციპებს და ივითარებენ ინტერესს ტექნოლოგიების მიმართ ლეგოსა და რობოტიქსის გაკვეთილების ფარგლებში, რაც წარმოადგენს STEAM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, ხელოვნება, მათემატიკა) განათლების ნაწილს.

ქართულ პროგრამაში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, ჩაერთონ „წიგნიერების“ პროექტში (II-IV კლასები), რომლის ფარგლებშიც მოზარდები წიგნებს სასიამოვნო გარემოში კითხულობენ, მსჯელობენ, ერთვებიან როლურ თამაშებში და წერენ თხზულებებს.

საგანმანათლებლო პროგრამები სრულ ჰარმონიზაციაშია დასახულ მიზნებთან. სახელმძღვანელოებისა და პროგრამის შერჩევა ემყარება კვლევასა და დიაგნოსტირებას. ქართულ პროგრამაზე გაზიარებულია PISA-სა და TIMSS-ის მიერ აღიარებული საუკეთესო შედეგების მქონე სწავლების პროგრამები. სისტემური ხედვის ჩამოყალიბებისთვის დაწყებით კლასებში გაზიარებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) გამოცდილება ინტერდისციპლინურ პროექტებზე მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

4.2. საბაზო საფეხური (VII–X კლასები)

ჩვენი მიზანია მოსწავლეებში საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და მომდევნო საფეხურისთვის მომზადება.

მოსწავლეებს ვთავაზობთ ქვეყანათმცოდნეობის საგნის შესწავლას (VII-IX კლასები) გლობალური მოქალაქეობის კონტექსტში. ასევე, VII–X კლასებში მოქმედებს ისეთი ინოვაციური საგნები და მოდულები, როგორებიცაა: კომპიუტერული ტექნოლოგიები და სტარტაპი, ინდივიდუალური პროექტები, ციფრული ხელოვნება და კინო/თეატრალური ხელოვნება.

- სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მუზეუმებსა და სხვადასხვა აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ცენტრებთან.

4.3. საშუალო საფეხური (XI–XII კლასები)

საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს ეხმარება, ჩამოყალიბდნენ თავდაჯერებულ, დამოუკიდებელ, ზრდასრულ ადამიანებად. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული, გამოწვევებით სავსე აკადემიური პროგრამის მეშვეობით ჩვენ ვცდილობთ, მოსწავლეები მოვამზადოთ საქართველოსა თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად.

მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ კანტის აკადემიის ორატორობის პროგრამებში, გაეროსა (MUN) და ნატოს მოდელირებებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში, ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის (EYP) სესიებში.

საშუალო საფეხურზე მოქმედებს ინდივიდუალური კურიკულუმის მოდელი: მოსწავლე საკუთარ ინტერესებზე მორგებულ კურიკულუმს ადგენს სავალდებულო (ქართული, მათემატიკა, ინგლისური, ისტორია) და არჩევითი საგნების ბლოკიდან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ეკონომიკის საფუძვლები, კომპიუტერული მეცნიერებები, სახელმწიფო და სამართალი, დამატებითი უცხოური ენები). უცხოური უნივერსიტეტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაღრმავებული მათემატიკა შეთავაზებულია არჩევით ბლოკში.

4.4. 2026–2027 სასწავლო წლის საგნობრივი სიახლეები

4.4.1. მითოლოგია (VII კლასი)

არსებული მდგომარეობა: მითოლოგია ცალკე მოდულად არ შედიოდა და მოსწავლეები მას მხოლოდ ფრაგმენტულად ხვდებოდნენ.

სიახლე 2026–2027 სასწავლო წლიდან: კვირაში 1 საათის ოდენობით ცალკე მოდული ემატება VII კლასის განრიგში. მოიცავს ქართული, ბერძნული, სკანდინავიური და ეგვიპტური მითოლოგიის შედარებით ანალიზს.

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა კულტურის მითოლოგიური სიუჟეტების ანალიზი და მათი კავშირი ისტორიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში ამოიცნოს.

წარმატების ინდიკატორი: სემესტრის ბოლოს მოსწავლეთა 80% მაინც ამოიცნობს მინიმუმ 3 მითოლოგიურ ალუზიას ტექსტში.

4.4.2. მოქალაქეობა და ფილოსოფია (X კლასი)

არსებული მდგომარეობა: ფილოსოფიის კლუბის პილოტირების საფუძველზე შემოვიდა ახალი ინტეგრირებული მოდული.

სიახლე 2026–2027 სასწავლო წლიდან: 1 სემესტრის განმავლობაში, კვირაში 2-საათიანი PBL (პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების) მოდული დაემატება X კლასს.

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ლოგიკური მსჯელობის აგება, ეთიკური დილემების ანალიზი და საკუთარი პოზიციის დასაბუთება.

წარმატების ინდიკატორი: საბოლოო პროექტში (დებატები ან არგუმენტირებული ესე) მოსწავლეთა 85% დააკმაყოფილებს არგუმენტაციის კრიტერიუმებს.

4.5. 2026–2027 სასწავლო წლის საათობრივი ბადე და ძირითადი სიახლეები

- ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლების პროგრამა (I–XII კლასები)

მეორე უცხო ენის სწავლება (II–XII კლასები) – გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური (რუსული ენა სავალდებულოა IV, VI, VII კლასებში, ხოლო არჩევითია II, III და V კლასებიდან)

- ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლების პროგრამა (I–XII კლასები)
- მეორე უცხო ენის სწავლება (II–XII კლასები) – გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური (რუსული ენა სავალდებულოა IV, VI, VII კლასებში, ხოლო არჩევითია II, III და V კლასებიდან)
- ზღაპრის თერაპია, კითხვის სახელოსნო და ფსიქოლოგის საათი (I–V კლასები)
- ქართული ცეკვა (II–IV კლასები) და სპორტული ცეკვა (II–III კლასები)
- მითოლოგია (VII კლასი)
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება (I–VIII კლასები)
- რობოტიქსის სწავლება (I–IX კლასები)
- ქვეყანათმცოდნეობა (VII–IX კლასები)
- სადამრიგებლო საათი (I–X კლასები)
- ინდივიდუალური პროექტების გამოფენა (V, X კლასები)
- კინო/თეატრალური ხელოვნება (IX კლასი) და ციფრული ხელოვნება (IX-X კლასი)
- მოქალაქეობა და ფილოსოფია (X კლასი)
- სააბიტურიენტო მომზადება – ინდივიდუალური კურიკულუმები (XI–XII კლასები)


ქართული პროგრამის კურიკულუმი
ქართული ენა
და ლიტერატურა
მათემატიკა
ისტორია
ქიმია
ფიზიკა
ბიოლოგია
გეოგრაფია
მოქალაქეობა
IST
ხელოვნება
სპორტი
ცოდნა • უნარები • ფასეულობები
ინიციატივიანობა • პასუხისმგებლობა • კრეატიულობა
ქართული პროგრამის
კურიკულუმი
საქართველოს ეროვნული კურიკულუმი

2026-2027 სასწ. წლის საათობრივი ბადე (37 სასწავლო კვირა)

	საგნის დასახელება/კლასები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	სახელმწიფო ენა	*სთ*	*სთ*	*სთ*	*სთ*	*სთ*	*სთ*	*სთ*	*სთ*	*სთ*	*სთ*	დიფერენ ცირებული	
1	ქართული ლიტერატურა	8(2/6)	7(2/5)	6 (1/5)	6 (1/5)	5 (1/4)	5 (1/4)	**4**	5 (1/4)	**4**	5 (1/4)	5	5
	ქართული ენა							**1**		**1**			
	მათემატიკა												
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	3	
	უცხოური ენები												
3	პირველი (ინგლისური)	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
4	მეორე (რუსული)		2	2	2	3	3	3	3	3	3		
	მეორე (ფრანგული, გერმანული, ესპანური, რუსული				-			2					
5	ინგლისური კითხვა		1	1									
	საზოგადოებრივი მეცნიერებები												
6	მე და საზოგადოება			2	2								
7	ჩვენი საქართველო					2	3						
8	საქართველოს ისტორია							2			4		
9	ისტორია მსოფლიო							1	3	3		2	
10	გეოგრაფია							2	2	2	2		
11	მოქალაქეობა/ მოქალაქეობა და ფილოსოფია (მე9,10 კლ)							1	1	2	2		

12	საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება											0.5	
13	ევროპათმცოდნეობა - ფაკულტატური სავალდებულო							1	1	1			
14	მითოლოგია							1					
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
15	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	3	3						
16	ბიოლოგია							2	2	2	2		
17	ფიზიკა							2	2	2	2		
18	ქიმია								2	2	2		
	ტექნოლოგიები												
19	კომპიუტერული ტექნოლოგიები/კომპ.ტექნოლოგიები	1	1	1	1	1	1	1	1				
20	რობოტექნიკის შესავალი/ lego	1	1	1	1	1	1	1	1				
	ესთეტიური აღზრდა												
21	ვიზუალური ხელოვნება	2	2	2	2	2	1	1	1	1			
19	მუსიკა	1	1	1	1								
22	ქართული ცეკვა		1	1	1								
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი												
23	ჭადრაკი	1	1	1									
24	სპორტული ცეკვები		1	1									
25	ფიზიკური აღზრდა	2	1	1	1	2	**1**	**1**	1	1	1		
	პროექტული სწავლება												
26	პერსონალური პროექტი										1		
27	კინო/თეატრალური ხელოვნება (პროექტი)									1			
28	კიბერუსაფრთხოება და სტარტაპი			-							2		
29	ფსიქოლოგის საათი (არა სავალდებულო ფაკულტატური)			1	1	1	1	1	1				
30	კითხვის საათი (არა სავალდებულო ფაკულტატური)	0,5	1										
31	წიგნიერება (არა სავალდებულო ფაკულტატური)			1	1								
	კვირეული დატვირთვა	28(29)	31 (33)	32(34)	29/31	29 (30)	28 (29)	35	35	36 (1)	36		10

	არჩევითი საგნები												
1	მათემატიკა (გაძლიერებული/არა გაძლიერებული)											5	5/3
2	კომპიუტერული მეცნიერებები											3	3
3	ქიმია											4	4
4	ბიოლოგია											4	4
5	ფიზიკა											3	3
6	მეორე უცხოური ენა A დონე(რუსული/ფრანგული/გერმანული)											3	3
7	ისტორია (გაძლიერებული/არა გაძლიერებული)											4	5/3
8	გეოგრაფია											3	3
9	სახელმწიფო და სამართალი											3	2
10	ეკონომიკა											4	4
11	კიბერუსაფრთხოება და სტარტაპი			-								2	2
	1 სემესტრში კვირეული დატვირთვა												
	მე-2 სემესტრში კვირეული დატვირთვა												

4.6. მე-6-9 კლასებში ყოველწლიურად იგეგმება ინტერდისციპლინური პროექტები, რომლის მთავარი მიზანია:

- სხვადასხვა საგნობრივი დარგის ცოდნის გაერთიანება რეალური, ცხოვრებისეული პრობლემების ან თემების ირგვლივ;
- მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, სინთეზისა და შემოქმედებითი პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება;
- ხელი შეუწყოს ჰოლისტურ, სისტემურ აზროვნებას – ანუ თემის მრავალმხრივი კუთხით დანახვას;
- გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა სწავლაში, რადგან სასწავლო მასალა უკავშირდება მათ გამოცდილებასა და გარემომცველ სამყაროს;
- განუვითაროს მათ გუნდური მუშაობის, კომუნიკაციისა და პროექტის მართვის უნარები, რაც მომავალი ცხოვრებისთვის აუცილებელი კომპეტენციებია.

ხოლო მე-10 კლასებში ინდივიდუალური პროექტები,ეწყობა პროექტების გამოფენა, სადაც მოწვეულ სტუმრებს მოსწავლეები წარუდგენენ საკუთარ პროექტებს.

4.7. დამატებითი საგანმანათლებლო და საღმზრდელო მომსახურება

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ, ასევე დამატებით მომსახურებას, რაც ითვალისწინებს სავალდებულო საგნების სტანდარტზევით სწავლებასა და მრავალფეროვან კლასგარეშე აქტივობებს. მაგ: ქართული ცეკვა სპორტული ცეკვა, ფსიქოლოგის საათი, ზღაპრის საათი, ქვეყანათმცოდნეობა, მითოლოგია, სარემედიაციო პროგრამები ქართულსა და მათემატიკაში, ინდივიდუალური /ჯგუფური პროექტები V, X კლასებში და სხვ.

დღის მეორე ნახევარში კლუბური მუშაობა და საშინაო დავალებების მომზადება, პროექტებზე მუშაობა და სხვ.

შეფასების სისტემა

სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და აგებულია ეროვნული, საერთაშორისო ბაკალავრიატისა (IB) და ამერიკული პროგრამის მოთხოვნათა საფუძველზე.

5.1. შეფასების საერთო პრინციპები და მეთოდოლოგია

- შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია მოსწავლეთა და მშობელთათვის.
- **გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტები** — კითხვარი, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკა, ზეპირი და წერილობითი კომენტარი.
- ელექტრონულ ჟურნალში ყოველდღიურად აისახება ჩატარებული გაკვეთილის შედეგები, განმავითარებელი უკუკავშირი და საშინაო დავალებები.
- შიდასასკოლო კონტროლის ფარგლებში ტარდება სადიაგნოსტიკო წერები.

იხილეთ ბმული:

https://shorturl.at/DeAiH

5.2. 📊 სადიაგნოსტიკო, შუალედური და საბოლოო შეფასება

- ახალი მიდგომა 2026–2027 წლიდან:
- დიაგნოსტიკის ინსტრუმენტი გაფართოვდება და მონაცემები ციფრულად დამუშავდება.
- მასწავლებლები გადამზადდებიან დიაგნოსტიკის მონაცემების ინდივიდუალური მიდგომისთვის გამოყენებაში.

პერიოდი	რა ხდება	მიზანი
წლის დასაწყისი	სადიაგნოსტიკო შეფასება (შესაძლებლობები, სწავლის სტილი, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა)	ინდივიდუალური მიდგომის დაგეგმვა
წლის შუა	შუალედური სადიაგნოსტიკო + თვითშეფასება	პროგრესის მონიტორინგი, კორექცია
სემესტრების ბოლოს	გამოცდები + სემესტრული შეფასება	საბოლოო აკადემიური მიღწევის განსაზღვრა

5.3. 🎯 თვითშეფასება და ურთიერთშეფასება

სკოლაში მოქმედებს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სისტემა, რომელიც ინტენსიურად გამოიყენება გაკვეთილებზე, განსაკუთრებით პრეზენტაციებისა და პროექტების წარდგენისას.

სასკოლო ცხოვრება და წესრიგი

ადამიანური რესურსების რეკრუტინგი და პროფესიული განვითარება

დაგეგმე	განახორციელე	შეაფასე	განავითარე

სკოლაში დასაქმებული ადამიანური კაპიტალი ემსახურება მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას. ქართულ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და საფეხურების მიზედვით კოორდინატორები. პროგრამაზე დასაქმებულია 63-ზე მეტი მასწავლებელი, 1 ინკლუზიური განათლების სპეციალისტი 5 ფსიქოლოგი (3 დაწყებითი საფეხურისთვის და 2 საბაზო-საშუალო საფეხურისთვის). ხარისხის უზრუნველყოფისთვის სკოლა იყენებს დემინგის ციკლს (დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე). პროცესების მართვა ეფუძნება მონაცემთა ტრიანგულაციის პრინციპს (მშობელი, მოსწავლე, თანამშრომელი), სადაც გამოიყენება დაკვირვების, ფოკუს-ჯგუფების, ინტერვიუირებისა და გამოკითხვის მეთოდები.

სასკოლო ცხოვრება და წესრიგი

სასკოლო დისციპლინა, წესები და მოსწავლის პასუხისმგებლობა

სასკოლო წესები ადგენენ რეგლამენტს უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად.

7.1. სასკოლო ფორმა და გარეგნობის სტანდარტი - „ატარე სიამაყით“

- სასკოლო ფორმა სავალდებულოა. იგი უნდა შეესაბამებოდეს საქმიან სტილს.
- შარვლის სიგრძე – კოჭზე; ქვედაბოლოს სიგრძე – მუხლზე.
- **აკრძალულია** — გრძელი ფრჩხილები, მუქი ლაქი, დიდი ზომის სამკაულები, მძიმე მაკიაჟი.

7.2. ინდივიდუალური კარადები და ქცევის საერთო წესები

- ყველა მოსწავლეს სკოლაში აქვს ინდივიდუალური კარადა პირადი და სასწავლო ნივთებისთვის. წლის ბოლოს გასაღები ბარდება დამრიგებელს.
- მოსწავლე ვალდებულია დაიცვას ქცევის წესები სასადილოში, ბიბლიოთეკაში, სპორტულ დარბაზებში, ტრანსპორტსა და ექსკურსიებზე.

7.3. დასწრებისა და გაცდენების აღრიცხვის წესი

გაცდენა საპატიოდ მიიჩნევა ავადმყოფობის (სამედიცინო ცნობით), ექიმთან ვიზიტის, ოჯახური პირობების (მშობლის განცხადებით) ან ოლიმპიადებში/ღონისძიებებში მონაწილეობისას.

- თუ მოსწავლემ გააცდინა კონკრეტული საგნის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% ან მეტი, იგი ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

- ეროვნულ/საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის გამო გაცდენები 30%-ის გამოანგარიშებისას არ იანგარიშება.

7.4. ელექტრონული ჟურნალის წარმოება და მონიტორინგი

- დასწრების აღრიცხვა – გაკვეთილის დაწყებიდან 10 წუთში.
- მიმდინარე შეფასება და უკუკავშირი – იმავე დღის 17:00 საათამდე.
- შემაჯამებელი დავალების შეფასება – ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
- 17:00 საათის შემდეგ ჟურნალში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
- გამოუცხადებლობის მონიტორინგს ატარებს საფეხურის კოორდინატორი. არასაპატიო გაცდენაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მშობელს.

7.5. გაკვეთილიდან დროებით დათხოვნის წესი

- ხორციელდება მხოლოდ სპეციალური „გაშვების ბარათის“ საფუძველზე. ერთდროულად გაკვეთილიდან შეიძლება დაითხოვონ არაუმეტეს 2 მოსწავლისა.

7.6. მობილური ტელეფონის გამოყენების წესი

- სკოლას შემუშავებული აქვს მობილური ტელეფონების გამოყენების სპეციალური წესი, რომლის მიხედვითაც მშობელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

წესები დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის (1-4 კლასი):

- მოსწავლეებს სკოლაში ტელეფონის მოტანა ეკრძალებათ.
- ტელეფონის წამოღება დასაშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ მშობელი წერილობით მიმართავს კლასის მასწავლებელს და დაასაბუთებს ამის საჭიროებასან მასწავლებელი იყენებს აკადემიური საქმიანობისთვის, რისთვისაც წინასწარ ეცნობებათ მშობლებს.
- დაშვების შემთხვევაში, მოსწავლე ტელეფონს მიტანისთანავე აბარებს მასწავლებელს, რომელიც მას ჩაკეტილ სათავსოში ინახავს სწავლის დასრულებამდე.
- დაწყებით საფეხურზე ტელეფონის გამოყენება გაკვეთილზე დასაშვებია მხოლოდ მასწავლებლის წინასწარი ნებართვით, კონკრეტული სასწავლო დავალების შესასრულებლად.

წესები მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის (5-12 კლასი):

- მოსწავლეებს აქვთ ტელეფონის მოტანის უფლება, თუმცა ის უნდა იყოს გამორთული ან „თვითმფრინავის რეჟიმში“.

- სკოლაში მოსვლისთანავე ტელეფონი ბარდება დამრიგებელს/ასისტენტს და ინახება ჩაკეტილ სივრცეში სასწავლო დღის დასრულებამდე.
- ტელეფონის გამოყენება გაკვეთილზე დასაშვებია მხოლოდ მასწავლებლის წინასწარი ნებართვით, კონკრეტული სასწავლო დავალების შესასრულებლად.
- გამონაკლისები და გადაუდებელი შემთხვევები:

სამედიცინო საჭიროების შემთხვევაში (მაგ., ჯანმრთელობის მონიტორინგის აპლიკაციები) ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისას, ინდივიდუალური ნებართვა გაიცემა წინასწარ.

- გადაუდებელი ან საგანგებო აუცილებლობისას მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს ტელეფონით შესაბამისი პერსონალის ინფორმირებით.

პასუხისმგებლობა და უსაფრთხოება:

სკოლა უზრუნველყოფს ტელეფონების უსაფრთხო შენახვას, თუმცა ნივთზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მოსწავლესა და მშობელს. სკოლა არ იღებს პასუხისმგებლობას ტელეფონის დაკარგვაზე, დაზიანებაზე ან ქურდობაზე (გარდა სკოლის უხეში დაუდევრობის შემთხვევებისა).

წესების დარღვევის შედეგები:

- **პირველი დარღვევა** — მოსწავლე იღებს გაფრთხილებას და ტელეფონი ჩამოერთმევა დღის ბოლომდე.
- **მეორე დარღვევა** — ტელეფონი ჩამოერთმევა, ეცნობება მშობელს და ნივთი დაბრუნდება მხოლოდ მშობლის სკოლაში ვიზიტის შემდეგ.
- **განმეორებითი/უხეში დარღვევა** — საკითხი გადაეცემა დისციპლინურ კომიტეტს.

7.7. დისციპლინური გადაცდომები და პასუხისმგებლობის ზომები

- **მსუბუქი გადაცდომები** — დაგვიანება, ფორმის გარეშე გამოცხადება, მობილური ტელეფონის/ელექტრონული მოწყობილობების უნებართვო გამოყენება, სკოლიდან უნებართვო წასვლა, კომპიუტერული წესების დარღვევა, პლაგიატი/ნიშნის გაყალბება.
- **მძიმე გადაცდომები** — ძალადობა, ბულინგი, რასობრივი/დისკრიმინაციული ჩაგვრა, ვანდალიზმი, თამბაქოს/ელ-სიგარეტის, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარება/გავრცელება, ცრუ სახანძრო განგაშის ჩართვა, იარაღის მიტანა.

დისციპლინური სახდელები: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) მკაცრი გაფრთხილება; დ) საყვედური; ე) ზიანის ანაზღაურება; ვ) გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვება / სასარგებლო საქმიანობა; ზ) სკოლიდან დროებით დათხოვნა; თ) არასასკოლო აქტივობებში მონაწილეობის შეჩერება; ი) სკოლიდან გარიცხვა (საშუალო საფეხურზე).

- დისციპლინური წარმოების მონაცემები ყოველკვირეულად აისახება მოსწავლის რეიტინგში.

სასკოლო ცხოვრება და წესრიგი

2026–2027 სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი

1-ლი სემესტრი 14.09.2026 – 29.12.2026	**მე-2 სემესტრი** 15.01.2027 – 18.06.2027
ზამთრის არდადეგები 30.12.2026 – 14.01.2027	**საგაზაფხულო არდადეგები** 04.03.2027 – 07.03.2027

სადღესასწაულო და უქმე დღეები 2026–2027 სასწავლო წელს:

14 ოქტომბერი მცხეთობა (სვეტიცხოვლობა)

1–2 იანვარი ახალი წლის სადღესასწაულო დღეები

19 იანვარი ნათლისღება

8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღე

29–30 აპრილი, 1–2–3 მაისი სააღდგომო დღეები

23 ნოემბერი გიორგობა

7 იანვარი ქრისტეს შობა

3 მარტი დედის დღე

9 აპრილი საქართველოს ეროვნული ერთიანობის დღე

9 მაისი გამარჯვების დღე

12 მაისი წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე

17 მაისი ოჯახის დღე

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღ

2026–2027 სასწავლო წლის გაკვეთილების დაწყება დამთავრება

შპს „ევროპული სკოლის“ **2026-2027** სასწავლო წელი დრის განრიგი

I-V კლ

კორპუსი A (D) — გაკვეთილების განრიგი

1 კლასი (გაკვეთილის ხანგრძლივობა — **35** წუთი)

პერიოდი	დაწყება	დამთავრება	ხანგრძლივობა (წთ)
1	09:00	09:35	
საუზმე	09:35	10:00	25
2	10:00	10:35	15
3	10:50	11:25	15
4	11:40	12:15	15
5	12:30	13:05	
სადილი	13:05	13:40	35
6	13:40	14:15	15
7	14:30	15:05	
დასრულება	15:05		

1 კლ. = 5 | სულ: 92

2 კლასი (გაკვეთილის ხანგრძლივობა — 40 წუთი)

პერიოდი	დაწყება	დამთავრება	ხანგრძლივობა (წთ)
1	09:00	09:40	
საუზმე	09:40	10:00	20
2	10:00	10:40	10
3	10:50	11:30	10
4	11:40	12:20	10
5	12:30	13:10	
სადილი	13:10	13:40	30
6	13:40	14:20	10
7	14:30	15:10	
დასრულება	15:10		

2 კლ. = 7 | *სულ: 125*

3 კლასი (გაკვეთილის ხანგრძლივობა — 45 წუთი)

პერიოდი	დაწყება	დამთავრება	ხანგრძლივობა (წთ)
1	09:00	09:45	5
2	09:50	10:35	
საუზმე	10:35	10:50	15
3	10:50	11:35	5
4	11:40	12:25	5
5	12:30	13:15	5
6	13:20	14:05	
სადილი	14:05	14:30	25
7	14:30	15:15	
დასრულება	15:15		

3 კლ. = 7 | *სულ: 125*

4 კლასი (გაკვეთილის ხანგრძლივობა — 45 წუთი)

პერიოდი	დაწყება	დამთავრება	ხანგრძლივობა (წთ)
1	09:00	09:45	5
2	09:50	10:35	
საუზმე	10:35	10:50	15
3	10:50	11:35	5
4	11:40	12:25	5
5	12:30	13:15	5
6	13:20	14:05	
სადილი	14:05	14:30	25
7	14:30	15:15	
დასრულება	15:15		

4 კლ. = 6 | *სულ: 123*

5 კლასი (გაკვეთილის ხანგრძლივობა — 45 წუთი)

პერიოდი	დაწყება	დამთავრება	ხანგრძლივობა (წთ)
1	09:00	09:45	
საუზმე	09:45	10:00	15
2	10:00	10:45	5
3	10:50	11:35	5
4	11:40	12:25	5
5	12:30	13:15	
სადილი	13:15	13:40	25
6	13:40	14:25	5
7	14:30	15:15	
დასრულება	15:15		

კორპუსი C — გაკვეთილების განრიგი

6 - 12 კლასები							
6-12 კლასი		45 წუთი		6-12 კლასი		45 წუთი	
	დაწყება	დამთავრება	შესვენება		დაწყება	დამთავრება	შესვენება
1	9-00	9-45	5	1	9-00	9-45	15
2	9-50	10-35	15	2	10-00	10-45	5
3	10-50	11-35	5	3	10-50	11-35	5
4	11-40	12-25	5	4	11-40	12-25	
5	12-30	13-15		სადილი	12-25	12-50	25
სადილი	13-15	13-40	25	5	12-50	13-35	5
6	13-40	14-25	5	6	13-40	14-25	5
7	14-30	15-15	5	7	14-30	15-15	5

მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი

მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი უზრუნველყოფს მოზარდების აკადემიურ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

9.1. სწავლის ხელშეწყობის პროგრამა

დამატებითი საგნობრივი მეცადინეობების სისტემა. მასწავლებელი მოსწავლეებს აკირდებიან (ან გადმოსულ მოსწავლეებს უტარებენ ტესტირებას) საჭიროების დასადგენად, რის საფუძველზეც დგება ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკი.

9.2. ინგლისური ენის გაუმჯობესების პროგრამა

- ტარდება კვირაში ერთხელ, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში, ადაპტირებული გაკვეთილების სახით.

9.3. რემედიაციის პროგრამა დაწყებით საფეხურზე

- ორიენტირებულია ქართულ ენასა/ლიტერატურასა (გაწაფული კითხვა) და მათემატიკაზე. ტარდება კვირაში ერთხელ მცირე ჯგუფებში.

9.4. სასკოლო კლუბები

- კლუბების სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://europeanschool.ge/klubebi/

- **კლუბების საკონტაქტო ელ-ფოსტა** — schoolclubs@europeanschool.ge
- **ტელევიზია (ESTV)** — მოსწავლეთა სასკოლო მედია-პროექტი.

მოსწავლეთა მხარდაჭერა

მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური

10.1. ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერი

- ატარებს ტრენინგებს, ამაღლებს ცნობიერებას ძალადობის პრევენციის მიზნით და ახორციელებს დარღვევებზე რეაგირებას.

10.2. ფსიქოლოგიური სამსახური (2026–2027 სასწავლო წლის სიახლეები)

- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, 3 ფსიქოლოგი, 1 სპეციალური მასწავლებელი.
- პრევენციული კლასის საათები ფსიქოლოგთან (თვეში 1 საათი თითოეულ კლასში).
- ინდივიდუალური კონსულტაციებისთვის ღია კარის საათები და ონლაინ ჩაწერის სისტემა.
- კრიზისული ინტერვენციის პროტოკოლის დანერგვა.
- ანონიმური Google Form „რა მაწუხებს?“ – ყოველკვირეული ანალიზი.

10.3. ლოგოპედიური სამსახური

- იყენებს ნოვატორულ მეთოდებს (ლოგორითმიკა, რელაქსაცია, ლოგოპედური მასაჟი).

10.4. სამედიცინო სამსახური

- უზრუნველყოფს პირველად დახმარებას, კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მონიტორინგს, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

10.5. ტრანსპორტირების საკითხები — schoolbus@europeanschool.ge | ტელ: (+995 32) 2 39 59 64 | სარეგისტრაციო ფორმა: https://europeanschool.ge/skolis-transporti/

„ევროპულ სკოლაში“ დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა უსაფრთხო, ეფექტიან და კომფორტულ ტრანსპორტირებას. ჩვენი გამოცდილი მძღოლები მართავენ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ თანამედროვე ავტობუსებს, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა უბნის განსაზღვრული გაჩერებებიდან, მითითებულ დროში, ახდენენ მოსწავლეთა ტრანსპორტირებას.

ავტობუსები აღჭურვილია GPS მოწყობილობებით. მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ავტობუსების გადაადგილების მონიტორინგის აპლიკაცია, რომელიც სკოლის

ტრანსპორტის მონიტორინგის სისტემის ნაწილია და აძლევს საშუალებას მშობლებს, დააკვირდნენ იმ ავტობუსის გადაადგილებასა და მდებარეობას რეალურ დროში, რომლითაც მათი შვილები მგზავრობენ.

სკოლის ავტობუსი მოსახერხებელი, საიმედო სატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც სკოლის საზოგადოების ერთიანობას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა დაიცვან სკოლის ავტობუსში ქცევის წესები და პოზიტიური, ჰარმონიული ატმოსფერო შექმნან ყოველდღიური მგზავრობისას თანაკლასელებთან ერთად.

ტრანსპორტის საკითხებთან დაკავშირებული შეკითხვებით გთხოვთ, მიმართოთ ტრანსპორტის განყოფილებას ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: **schoolbus@europeanschool.ge**

ან დარეკოთ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე:
(+995 32) 2 39 59 64

თუ ჯერ არ ხართ დარეგისტრირებული, სკოლის ტრანსპორტით სარგებლობისთვის გთხოვთ, შეავსოთ განაცხადის ფორმა:
https://shorturl.at/5GhgF

პარკირების ზონაში ავტომობილებიდან ჩამოყვანის უსაფრთხოება

ჩვენი მიზანია, მშობლებმა სკოლის პარკირების ზონაში უსაფრთხოდ მოახდინონ მოსწავლეების ჩამოყვანა ავტომობილებიდან. გთხოვთ, მიჰყვეთ ინსტრუქციას: https://shorturl.at/dmFGI

10.6. კვების სისტემა

„ევროპული სკოლის“ სასადილო და კაფეტერია მომხმარებელს სთავაზობს ჯანსაღ და გემრიელ კერძებს კომფორტულ და სასიამოვნო გარემოში. კერძების 90 %-ზე მეტი მზადდება ადგილზე, ჩვენი პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მიერ. უმეტესად გამოყენებულია ადგილობრივი, მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტები, რომლებიც შეძენილია სერტიფიცირებული და სანდო მომწოდებლებისგან – ეს უზრუნველყოფს თითოეული კერძის განსაკუთრებულ ხარისხს, გემოსა და სარგებლიანობას.

ჩვენი დაბალანსებული მენიუები, რომლებიც შექმნილია კვების სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ხელს უწყობს მოსწავლეების ენერგიულობასა და პროდუქტიულობას. კერძები მზადდება სრულად აღჭურვილ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სამზარეულოში, მკაცრი სანიტარული ნორმების, ადგილობრივი რეგულაციებისა და HACCP-ის სისტემის მოთხოვნების დაცვით, რაც უზრუნველყოფს საკვების უსაფრთხოებას.

უფასო კვება

„ევროპული სკოლის“ A შენობაში I–III კლასის მოსწავლეებს სთავაზობენ უფასო სამჯერად კვებას (საუზმე, სადილი, ხემსი) მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

„ევროპული სკოლის“ ნაკისის კამპუსში I–V კლასის მოსწავლეებს ასევე სთავაზობენ უფასო სამჯერად კვებას (საუზმე, სადილი, ხემსი) მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

ფასიანი კვება და მენიუები

მოსწავლეებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა, ისადილონ პირდაპირ სასადილოში (A შენობა) ან კაფეტერიებში (A, B და C შენობები).

B და C შენობების კაფეტერიებში დამონტაჟებულია ციფრული მენიუს დაფები, რომლებიც აადვილებს კერძების შერჩევისა და გადახდის პროცესს.

მენიუს ტიპები

იხილეთ ყველა სახის მენიუ:

- **მენიუ I–III კლასი** (ფასიანი კვების პაკეტი, A შენობა)
- **მენიუ სასადილოსა და კაფეტერიისთვის** (A შენობა)
- **მენიუ კაფეტერიისთვის** (B და C შენობები)
- **შეკვეთის განთავსება**

შეკვეთის გაკეთება შესაძლებელია ციფრული მენიუს დაფის გამოყენებით B შენობის კაფეტერიაში

მოსწავლეთა მხარდაჭერა

სადამრიგებლო პროგრამა („დამრიგებლის საათი“)

11.1. ძირითადი კომპონენტები

- **გათავისუფლებული დამრიგებელი (1-12 კლასები შეძლებისდაგვარად)** — სპეციალური კურატორი, რომელიც არ არის გადატვირთული საგნობრივი საათებით.

- ყოველთვიური „დამრიგებლის საათი“ ფსიქოლოგთან ერთად.

11.2. „დამრიგებლის საათის“ კონცეფცია და მიზნები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

- **უმცროსი სასკოლო ასაკი (5–10 წელი)** — ემოციური ინტელექტი, თვითრეგულაცია, ჯგუფური თანამშრომლობა, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება.
- **საშუალო სასკოლო ასაკი (10–14 წელი)** — თვითშეცნობა, ბულინგის პრევენცია და „არა“-ს თქმის ხელოვნება, ემპათია, ციფრული წიგნიერება.
- **უფროსი სასკოლო ასაკი (15–18 წელი)** — კრიტიკული აზროვნება, სტრესის/შფოთვის მართვა, პროფესიული ორიენტაცია (SMART მიზნები), ლიდერობა.

მოსწავლეთა მხარდაჭერა

12. ასისტენტის ინსტიტუტი

- დაწყებით საფეხურზე ასისტენტი ეხმარება კლასის ხელმძღვანელს:
- ატარებს „ასისტენტის საათს“;
- მეთვალყურეობს მოსწავლეებს სადილის, თავისუფალი დროის, წრეებზე გადანაწილებისა და ტრანსპორტირების დროს;
- აღრიცხავს მოსწავლის სკოლიდან ადრე გასვლას (გამყვანი პირის მითითებით);
- ეხმარება მოსწავლეებს საკლასო და საშინაო დავალებების შესრულებაში.

აკადემიური და შემოქმედებითი ცხოვრება

13. ბიბლიოთეკა

- **C კორპუსი (V სართული)** — განკუთვნილია უფროსკლასელებისთვის. აღჭურვილია 15 ლეპტოპით, პრინტერით, ინტერაქტიული დაფით, პროექტორით. ინახავს 9000-ზე მეტ ბეჭდურ წიგნს 5 ენაზე და ელექტრონულ ბაზებს.
- **A კორპუსი (1–5 კლასები)** — 10 პერსონალური კომპიუტერი, პროექტორი, კითხვის სივრცე და 4000-მდე ბეჭდური წიგნი.

„ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკა მკითხველს რესურსების ფართო არეალს სთავაზობს როგორც ბიბლიოთეკის სივრცეში, ისე სახლიდან ან მობილური მოწყობილობით სარგებლობისას. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სწავლა-სწავლების პროცესში. ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია კვლევის, მედიათეკის, კითხვისა და ჯგუფური მუშაობისთვის. ბიბლიოთეკა შეთავსების უზრუნველყოფს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსებით. ელექტრონულ რესურსებზე წვდომა სკოლის შენობის გარეთაც 24/7 რეჟიმში შესაძლებელია.

კატალოგის მეშვეობით შესაძლებელია ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცული მასალის მოძიება. ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში საკონტაქტო გვერდზე განთავსებული ფორმის მეშვეობით დაუკავშირდით ბიბლიოთეკის გუნდს, რომელიც სიამოვნებით დაგეხმარებათ.

ბიბლიოთეკის ვებგვერდზე ასევე შეგიძლიათ იხილოთ სიახლეები, ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ და წვდომა ელექტრონული რესურსებით სარგებლობის თაობაზე.

იხილეთ ბმული: https://esonlinelibrary.com/?lang=ka

აკადემიური და შემოქმედებითი ცხოვრება

14. კონფერენციები და ოლიმპიადები

„ევროპული სკოლის“ მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, რაც აძლევს მათ შესაძლებლობას გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და უფრო ღრმად შეისწავლონ მათთვის საინტერესო მიმართულებები. აღნიშნული ღონისძიებები ჩვენი მოსწავლეების სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან ხელს უწყობს აკადემიური ცოდნის გაღრმავებას, კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური უნარების, კომუნიკაციისა და კვლევითი უნარების განვითარებას. კონფერენციები არის საუკეთესო საშუალება კვლევის, საჯარო გამოსვლების, წერითი უნარებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების გასაძლიერებლად, ხოლო ოლიმპიადები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობები საერთაშორისო დონეზე წარმოაჩინონ. გარდა ამისა, ორივე მიმართულება ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების ჩამოყალიბებასა და თვითგანვითარებას. სწორედ ამიტომ, ევროპული სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობას როგორც „ევროპული სკოლის“ შიდა, ასევე საერთაშორისო პროგრამებში. ჩვენი მიზანია, თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ცოდნა, გამოცდილება და მოტივაცია, რომელიც მომავალ წარმატებას უზრუნველყოფს.

ოლიმპიადები:

- ევროპული სასწავლო ოლიმპიადა;
- სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა;
- Kings-ის ოლიმპიადა მათემატიკაში, ქართულ და ინგლისურ ენებში;
- WITS სასკოლო ოლიმპიადა ინგლისურ ენასა და მათემატიკაში;
- SMART ოლიმპიადა მათემატიკაში, ქართულ და ინგლისურ ენებში;
- ITYM – ახალგაზრდათა მათემატიკური საერთაშორისო ტურნირი გუნდებისთვის;
- ოლიმპიადა „დიდგორი“;
- ოლიმპიადა „ევერესტი“;
- ოლიმპიადა „მათემატიკის დღე“.
- მათემატიკის ტურნირი **„Kangaroo“**;

- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი კონკურსი **„JUNIOR ATSUHACK“**;
- ოლიმპიადა **VERITAS**;
- ოლიმპიადა **„შერლოკი“**;
- ოლიმპიადა **GENIUS**;
- რობოტიკის საერთაშორისო შეჯიბრი თურქეთში;
- ოლიმპიადა **StemCo**.

კონფერენციები და კონკურსები

- მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია;
- მოსწავლეთა საერთაშორისო კონფერენცია **„სკოლა ევროპოლიტიკისთვის“** ქ. ბერლინში;
- კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალი **„ორის ნაბიჯი“**;
- საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების და საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის გეოგრაფიის პრიზი პროფ. ნ. ბერძენიშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია;
- ლოგიკური თამაშების ლიგა;
- გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციის კონფერენცია მოსწავლეთათვის;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პიკნიკი
- მართლწერის კონკურსი spelling bee.
- რობოტიკსის საერთაშორისო კონკურსი First Global Chellenge

- და სხვა

აკადემიური და შემოქმედებითი ცხოვრება

15. მოსწავლეთა წახალისება – გრანტები, მედლები

„დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ მიერ დაწესებულია გრანტი: „The European School Full Bright Scholarship Program“ IX–XII კლასის მოსწავლეებისთვის. წარჩინებული კურსდამთავრებულები ჯილდოვდებიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

15.1. გრანტის მინიჭების ფორმულა და ალგორითმი

საბოლოო ქულა = (აკადემიური რეიტინგი × 0.5) + (სოციალური აქტიურობა × 0.3) + (შემოქმედებითი აქტივობა × 0.2)

- სოციალური / პიროვნული აქტიურობა (1–3):
- **3 ქულა (30%)** — 5+ ღონისძიება, გუნდის ლიდერობა, სამაგალითო ქცევა.
- **2 ქულა (20%)** — 3–4 ღონისძიება.
- **1 ქულა (10%)** — 2 ღონისძიება.
- **0,5 ქულა (5%)** — 1 ღონისძიება.
- შემოქმედებითი აქტივობები (1–2):
- **2 ქულა (20%)** — 2+ ინიციატივა, აქტიური კვლევა/პრეზენტაცია.
- **1 ქულა (10%)** — 1 ინიციატივა.

15.2. წლის ინოვაციური პროექტის ნომინაცია (2026–2027)

- 2026–2027 წლიდან განისაზღვრება „წლის ინოვაციური პროექტის“ ნომინაცია შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით.

აკადემიური და შემოქმედებითი ცხოვრება

16. კურსდამთავრებულები და საუნივერსიტეტო ორიენტაცია და კარიერული დაგეგმვა

საუნივერსიტეტო და კარიერული ორიენტაცია ევროპული სკოლის ინოვაციური სასწავლოებისა და ინტერდისციპლინარული მიდგომის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. ინკლუზიური და თანაბარი წვდომის პრინციპებით შექმნილია **საუნივერსიტეტო ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სამსახური.** სამსახური მხარს უჭერს ევროპული სკოლის მოსწავლეებს საუნივერსიტეტო აპლიკაციების მომზადებასა და კარიერის გონივრულ დაგეგმვაში.

საუნივერსიტეტო და კარიერული ორიენტაციის ბირთვი მოსწავლეა. თითოეული ქმედება მიმართულია ევროპული სკოლის მოსწავლეების წახალისებისკენ, რომ გახდნენ საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიები. წახალისება, ამ ჭრილში, არ ითვალისწინებს მხოლოდ აპლიკაციების მომზადებას. ჩვენ საუნივერსიტეტო და კარიერული ორიენტაცია უფრო ფართოდ გვესმის.

სამსახურის მუშაობის პრინციპები დაფუძნებულია სისტემურ მიდგომაზე, რომელიც ითვალისწინებს მრავალ და ერთდროულად განვითარებადი შესაძლებლობების გაანალიზებას. სკოლა და მშობლებთან აქტიური, კოლაბორაციული და კარიერული მიზნების მისაღწევად, სამსახური ახორციელებს საუნივერსიტეტო მიმართულების, ექსტერნი სწავლისა და კარიერული ზრდის პროგრამებს.

ნაკლებად მნიშვნელოვანია არჩევა მხოლოდ ერთი მიმართულებისა. ჩვენი სურვილია, ევროპული სკოლის მოსწავლეებმა განივითარონ პასუხისმგებლობა და საკუთარი თავის რწმენა, რათა მომავალში შეძლონ სწორი გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი არჩევანის გაკეთება.

საუნივერსიტეტო ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური ხელმძღვანელობს მოსწავლის ინტერესების აღიარებით, რომელიც არ არის განპირობებული აკადემიური მოსწრებით ან მხოლოდ შეფასებებით. ამ მიდგომით, ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი პოტენციალის შესაბამისად დაგეგმოს განათლებისა და პროფესიული განვითარების გზა.

საუნივერსიტეტო ორიენტაციის პროცესი ევროპული სკოლის მოსწავლეებისთვის არის შესაძლებლობა, ისწავლონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და ცხოვრებისეული არჩევანის მართვა. ჩვენი სურვილია, მომავალმა კურსდამთავრებულებმა შეძლონ დამოუკიდებელი, ზრდასრული და ინფორმირებული არჩევანის გაკეთება, რომელიც მათ წარმატებულ მომავალს შეუწყობს ხელს.

სამსახური ეხმარება 9–12 კლასელებსა და მათ მშობლებს ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების შერჩევაში, სააპლიკაციო პროცესის მართვაში, ატარებს შეხვედრებს მოწვეულ სპიკერებთან და კურსდამთავრებულებთან .

თემი და მმართველობა

17. მოსწავლეთა თვითმმართველი საბჭო და პარლამენტი

- **დაწყებითი საფეხური (III–V)** — თვითმმართველი საბჭო.
- **საბაზო საფეხური (VI–VIII)** — მოსწავლეთა თვითმმართველი საბჭო.
- **საშუალო საფეხური (IX–XII)** — თვითმმართველი საბჭო.
  - შპს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა პარლამენტი (IX–XII) - ყველა პროგრამის გაერთიანებული შემადგენლობით

შპს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა პარლამებტის თავმჯდომარე ირჩევა მხოლოდ XI – XII კლასის მოსწავლეებს შორის ფარული კენჭისყრით თითოეული პროგრამიდან კანდიდატის წინასწარი წარდგინების გზით.

- **შენიშვნა** — კანდიდატის წარსადგენად ქართული პროგრამა აწყობს მსურველ კანდიდატთა შორის საჯარო დებატებს და შიდა არჩევნებს.

კანდიდატების მიერ განცხადების წარდგენა (არჩევნებამდე 3 კვირით ადრე)

ნომინირებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი თავმჯდომარეობის კანდიდატად დადგენის თაობაზე და პროგრამის კოორდინატორის სარეკომენდაციო წერილი.

საარჩევნო კამპანია (გრძელდება 2 კვირის განმავლობაში; სრულდება არჩევნების დღეს)

საარჩევნო კამპანიის მსვლელობას განსაზღვრავს შემდეგი კრიტერიუმები (თუმცა, ეს არ არის შეზღუდული სია):

- ერთობლივი შეხვედრების ჩატარება, ან საკომუნიკაციო მედიის საშუალებით ურთიერთობა კამპანიის სტრატეგიის შესამუშავებლად;
- საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მასალების გავრცელება;
- პირადი და ონლაინ კომუნიკაცია.

არჩევნების დღე

არჩევნები ტარდება სკოლის სააქტო დარბაზში. პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატისთვის ხმის მიცემის უფლება აქვთ მოსწავლეებს მე-9–12 კლასებიდან. არჩევნების შედეგები გამოცხადდება არჩევნების დღეს.

თავმჯდომარე

მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე პასუხისმგებელია მოსწავლეთა პარლამენტის საქმიანობაზე. პარლამენტის სხვა ლიდერებთან ერთად, თავმჯდომარე განსაზღვრავს პარლამენტის მიზნებს და ადგენს სტრატეგიას მათ სისრულეში მოსაყვანად. მოსწავლეთა პარლამენტის აქტივობების წარმმართველ ძალას წარმოადგენს სწორედ პარლამენტის თავმჯდომარე, რადგან ის, პარლამენტის დანარჩენ ლიდერებთან ერთად, ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. თავმჯდომარის პასუხისმგებლობაში შედის ახალი ინიციატივებისა და პროექტების წარდგენა და პარლამენტის წევრთა საჭიროებების გათვალისწინება. თავმჯდომარე ჩართულია ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც ეხება კომისიების თავმჯდომარეებისა და პროექტის ლიდერების დანიშვნას.

თემი და მმართველობა

18. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (PTA)

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მოწოდებულია, გაამდიდროს მოსწავლეთა და მშობელთა გამოცდილება და ხელი შეუწყოს მათ კეთილდღეობას "ევროპულ სკოლაში" ყოფნისას. მისი მთავარი ამოცანებია:

- წაახალისოს მშობელთა მონაწილეობა სასკოლო ღონისძიებებში;
- გაამყაროს ურთიერთობა მშობლებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და დამფუძნებლებს შორის;
- ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაზიარებას მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მონაწილეობს სხვადასხვა სოციალური, საქველმოქმედო ღონისძიების დაგეგმვაში, კოორდინირებასა და განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სკოლის საზოგადოების ერთიანობის აღქმას და მოსწავლეებისთვის სასწავლო გამოცდილების შემენის ახალი საშუალებების შეთავაზებას.

ასოციაციის შეხვედრები იმართება სემესტრში ორჯერ, სადაც ნებისმიერი მშობლის დასწრება და სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მასწავლებლებთან ერთად მსჯელობა წახალისებულია. "ევროპული სკოლის" თითოეული მშობელი ავტომატურად ხდება ასოციაციის წევრი. მუშაობის ეფექტურად წარმართვისთვის ასოციაციას ჰყავს კომიტეტი, რომელშიც ყველა კლასიდან წარმომადგენელი არჩეულია ერთი წლის ვადით. "ევროპულ სკოლაში" პროგრამების (IB, ASAS, ქართული პროგრამა, ევროპული ბაღი) მიხედვით ფუნქციონირებს ოთხი სხვადასხვა მშობელთა და

მასწავლებელთა კომიტეტი. თითოეულს ჰყავს თავისი თავმჯდომარე — არჩეული წარმომადგენელი მშობელთაგან.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობის მრავალი გზა არსებობს. ჩვენ გახსნილები ვართ ახალი იდეების მისაღებად. შემოგვიერთდით, გახდით ასოციაციის აქტიური წევრი! დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ პროგრამის კოორდინატორებს.

თემი და მმართველობა

19. მშობელ–მასწავლებლის კონფერენციის მოდელი

• ეს მოდელი წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში დანერგილ ეფექტიან მიდგომას, რომელიც ტრადიციულ მშობელ–მასწავლებლის შეხვედრას გარდაქმნის კოლაბორაციულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ დიალოგად. აქ ცენტრალური ფიგურა თავად მოსწავლეა, რაც მას აქტიურ, და არა პასიურ როლს ანიჭებს საკუთარი სასწავლო გზის დაგეგმვაში.

შეხვედრის ფორმატი

შეხვედრები იმართება სამმხრივ ფორმატში — მშობელი, მოსწავლე და მასწავლებელი. ეს არ არის მხოლოდ ანგარიშის ჩაბარება ან შეფასებების განხილვა, არამედ ღია, ორმხრივი კომუნიკაცია, სადაც თითოეულ მხარეს აქვს თავისი წვლილი. შეხვედრა მიზნად ისახავს, შეიქმნას უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო, რათა მოსწავლემ თავისუფლად ისაუბროს თავის გამოწვევებსა და მიღწევებზე.

საუბრის ძირითადი თემები

განხილვის ცენტრში დგას მოსწავლის ინდივიდუალური აკადემიური პროგრესი. ეს მოიცავს არა მხოლოდ რიცხობრივ ნიშნებს ან ტესტის შედეგებს, არამედ ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა:

- კონკრეტულ საგნებში ძლიერი და სუსტი მხარეები;
- სწავლისადმი დამოკიდებულება და მოტივაცია;
- კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების განვითარება;
- კლასში და გარეთ აქტიურობა, გუნდური მუშაობის უნარები.

განმავითარებელი უკუკავშირი

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განმავითარებელ უკუკავშირზე, რაც ნიშნავს, რომ მასწავლებელი არა მხოლოდ აფიქსირებს არსებულ მდგომარეობას, არამედ გვთავაზობს კონსტრუქციულ, მკაფიო და მისაღწევ რეკომენდაციებს. უკუკავშირი ეფუძნება არა შედარებას სხვა მოსწავლეებთან, არამედ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას — რა ისწავლა, რა აითვისა და რა მიმართულებით სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა.

მხარეთა როლები

- **მოსწავლე** არ არის პასიური დამკვირვებელი; იგი წინასწარ ემზადება შეხვედრისთვის: აფასებს საკუთარ ნამუშევრებს (მაგალითად, პორტფოლიოს მეშვეობით), აცნობიერებს სასწავლო პროცესში არსებულ სირთულეებს და თავად აყალიბებს მოკლევადიან და გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებს.
- **მასწავლებელი** უზრუნველყოფს ობიექტურ მონაცემებსა და დაკვირვებებს, აქცენტს აკეთებს მიღწევებზე, ზრდის დინამიკაზე და სთავაზობს სპეციფიკურ სტრატეგიებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
- **მშობელი** იზიარებს საკუთარ შეხედულებებსა და დაკვირვებებს ბავშვის ჩვევებსა და განწყობაზე სახლში, რაც ეხმარება სკოლასა და ოჯახს შორის მყარი, სანდო კავშირის დამყარებას. ის ასევე მხარს უჭერს მოსწავლეს მისი მიზნების მიღწევაში.

შედეგი და სამომავლო გეგმა

შეხვედრის დასასრულს, სამივე მხარის მონაწილეობით მუშავდება ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ, გაზომვად და დროში განსაზღვრულ ნაბიჯებს. მაგალითად, როგორ მოემზადება მოსწავლე მომავალი ტესტებისთვის, რა დამატებით რესურსებს გამოიყენებს, ან როგორ ითანამშრომლებენ მშობელი და მასწავლებელი მის წახალისებისთვის.

ამ მოდელის მთავარი მიზანია, გარდა აკადემიური მოსწრების ანალიზისა, განუვითაროს მოსწავლეს საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის გრძნობა, თვითრეფლექსიის უნარი და შინაგანი მოტივაცია, რაც მას მომავალში დამოუკიდებელი, მიზანდასახული მოქალაქის ჩამოყალიბებაში დაეხმარება

თემი და მმართველობა

20. კლასგარეშე აქტივობები და ასამბლეები

- **სპორტული სექციები** — ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, კარატე, ფარიკაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი.
- **ინფრასტრუქტურა** — 2 სააქტო დარბაზი, საკონფერენციო აუდიტორიები, 2 დახურული სპორტული დარბაზი, ფეხბურთისა და ჩოგბურთის ღია მოედნები.
- **ასამბლეები** — ტარდება წინასწარ გაწერილი განრიგით, მოსწავლეთა თვითმმართველობის კლუბების ინიციატივით. ასევე ყოველი სემესტრის ბოლოს კლასებისთვის ტარდება შემაჯამებელი ასამბლეები.

თემი და მმართველობა

21. სკოლის დაცვა და უსაფრთხოება

- **დაცვის პერსონალი** — კვალიფიციური უსაფრთხოების ჯგუფი.
  - ACS (Access Control System): ტურნიკეტები, ელექტრონული საშვები, ვიზიტორთა მენეჯმენტი.
- **CCTV მონიტორინგი** — შიდა და პერიმეტრის სრული ვიდეოკონტროლი.

- **სახანძრო სისტემა** — ავტომატური შადრევნები (sprinklers), საგანგებო გასასვლელები და რეგულარული წვრთნები.

თემი და მმართველობა

22. ადმინისტრაციულ–მმართველობითი პერსონალი

სოფიო ბაზაძე
სკოლის გენერალური დირექტორი

თამარ არაბიძე
ადმინისტრაციული დირექტორი

ხათუნა ბარაბაძე
ქართული პროგრამის ხელმძღვანელი

თამთა გოგიჩაშვილი
დაწყებითი საფეხურის (I–V) კოორდინატორი

მარინა მელიქიძე-ბექაური
საბაზო საფეხურის (VI–VIII) კოორდინატორი

მაია მელიქიშვილი
საშუალო საფეხურის (IX–XII) კოორდინატორი

მაკა მელიქიძე
მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრის მენეჯერი

- **სიახლე** — შპს „ევროპულ სკოლასა “ დაემატა ახალი D კორპუსი დაწყებითი კლასებისთვის. მისამართი: შინდისი, თბილისი - კოჯრის გზატკეცილი #2

თემი და მმართველობა

საკონტაქტო ინფორმაცია

- შპს „ევროპული სკოლა“
- მისამართი:
- შენობა A – ი. სხირტლაძის #2
- შენობა B – კ. ქუთათელაძის #10ა
- შენობა C – ალ. ყაზბეგის გამზ. #47
- შენობა D - შინდისი, თბილისი - კოჯრის გზატკეცილი #2
- **ტელ.** — (+995 32) 2 39 59 64 / 2 14 15 16
- **ვებ-გვერდი** — www.europeanschool.ge
- **ელ. ფოსტა** — admissions@europeanschool.ge
- Facebook: www.facebook.com/ESintSchool/

დამტკიცებულია შპს „ევროპული სკოლის“ ადმინისტრაციის მიერ · 2026 წელი